ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1314187

ნომერი: AR1223986

თარიღი : 29.05.2014

გაცემის თარიღი : 18.06.2014

გაცნობის თარიღი : 18.06.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- აკაკი გრძელიშვილი პ/ნ 01008025909
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 8 ბ. 39

ორგანიზაცია:
- ჭავჭავაძის 33 კოდი: 406088807

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 05/29/2014წ. #AR1223986 განაცხადით მომართა აკაკი გრძელიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 25.09.2013წ. #916748 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ბრძანებაზე თანდართული, სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლის გადახდის გრაფიკის კორექტირება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 24.11.2006წ. #20/1016 ბრძანებით, ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, მე–9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ყიფშიძე–2“–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ქალაქ თბილისის მერის 15.09.2006წ. #184 განკარგულებით კი, ამ ტერიტორიისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) განსაზღვრული მაჩვენებლის გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური ნებართვა და განისაზღვრა: კ2=4,0.
მოგვიანებით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.09.2013წ. #916748 ბრძანებით, შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მერის 01.03.2013წ. #326 განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და განისაზღვრა კ2=8,0. სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლის ოდენობის გამოანგარიშებისას, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტად აღებული იქნა კ2=2,2, რაც განმცხადებლის განმარტებით, წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მერის 15.09.2006წ. #184 განკარგულებით დადგენილი იყო კ2=4,0 და შესაბამისად, კოეფიციენტი უნდა განსაზღვრულიყო კ2=4,0–ით.
„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 01 აგვისტოს #8-13 გადაწყვეტილების თანახმად, განაშენიანების მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონისათვის (სზ-4) კ-2=2,2, რაც შესაბამისად, ასევე აისახა 02.10.2006წ. #ჯ–63 ქალაქთმშენებლობით პირობებში.
„ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის #7 – 41 გადაწყვეტილების თანახმად, სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება შესაბამისი ფორმულით, სადაც კ2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი, რაც მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და ქალაქთმშენებლობით პირობების მიხედვით, წარმოადგენს კ2=2,2.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლის ოდენობა გამოთვლილი იქნა კანონმდებლობის შესაბამისად და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს გადახდის გრაფიკის კორექტირება.